„დიდად პატივცემულო მიხეილ ალექსანდრეს ძევ!

თქვენმა წერილმა დაადასტურა ქართველოლოგებისათვის ის საინტერესო ამბავი, რომლის თაობაზე „ზარია ვოსტოკამ" პატარა შენიშვნა გამოაქვეყნა. ეს დიდი საჩუქარია ჩვენთვის. მოუთმენლად ველი ამ ძეგლის გამოქვეყნებას. თქვენ ისე გაგვანებივრეთ, რომ ვეკითხებოდა და გთხოვთ გამიგოთ, ხომ არ არის აღწერებში XVI საუკუნის დამლევის, ან XVII საუკუნის დამდეგის ელჩობა ქართლის სამეფოში. თუ ასეთი რამ მოიპოვება, ძალიან დაგვავალებთ, თუ ამ ძეგლსაც გამოსცემთ, საქმე ის არის, რომ ჩვენ გვაკლია რუსთა ელჩების მიერ შედგენილი სწორედ საქართველოს ცენტრის, ქართლის სამეფოს აღწერილობა და ასეთი რამის აღმოჩენა შეავსებდა ამ არსებით ხარვეზს, — და საშუალება მოგვეცემოდა შეგვედარებინა რუსთა ელჩების ცნობები ქართული, სპარსული და დასავლეთ ევროპული წყაროების მონაცემებთან. თქვენ ფასდაუდებელ სამსახურს უწევთ რუსეთისა და საქართველოს ისტორიას, იძლევით იმდენ ახალ, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელ მასალებს, რომ თქვენი სახელი, როგორც იტყვიან, ოქროს ასოებით ჩაიბეჭდება ჩვენს ისტორიოგრაფიაში და თქვენი შრომები ქართველოლოგებისათვის — კავკასიისა და აღმოსავლეთისან რუსეთის ურთიერთობის მკვლევართათვის ნიადაგსახმარი წიგნი იქნება.

მადლობას მოგახსენებთ წერილისათვის და ვიმედოვნებ, რომ კიდევ გავგახარებთ ცნობებით თქვენს მუშობასა და თქვენს წარმატებებზე... გულწრფელად თქვენი პატივისმცემელი".

ივანე ჯავახიშვილი